საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა

2022

emotions are Georgia

საერთაშორისო ვიზიტები საქართველოში

2022 წელს საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობამ 5,426,903 (+188.5%) შეადგინა. საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობა მოიცავს საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებულ ვიზიტების რაოდენობას 4,703,945 (+173.3%) და სხვა ვიზიტებს (არასტურისტული) 722,958 (+351.8%). საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტებიდან 3,652,949 (+131.6%) ტურისტული ვიზიტი (ვიზიტი ღამისთევით) იყო, ხოლო 1,050,996 (+631%) ერთდღიანი ვიზიტი.

ყველაზე მეტი საერთაშორისო ვიზიტი წლის განმავლობაში მესამე კვარტალში დაფიქსირდა: აგვისტო 912,041 (წილი 16.8%), ივლისი 718,401 (13.2%) და სექტემბერი 636,235 (11.7%). ამ პერიოდში ვიზიტების რაოდენობამ 2022 წელს დაფიქსირებული მთლიანი საერთაშორისო ვიზიტების 41.8%-ი შეადგინა. ყველაზე ნაკლები ვიზიტით კი პირველი კვარტალი გამოირჩეოდა: თებერვალი 199,393 (3.1%), იანვარი 165,626 (3.7%) და მარტი 211,484 (3.9%).

საერთაშორისო ვიზიტების უმრავლესობა 3,123,238 (66.4%) სახმელეთო ტრანსპორტის მეშვეობით განხორციელდა, შემდეგ ადგილზეა საჰაერო ტრანსპორტი 1,536,316 (32.7%), სარკინიგზო და საზღვაო გზით ვიზიტების რაოდენობამ, შესაბამისად 26,355 (0.6%) და 18,036 (0.4%) შეადგინა. ყველაზე დატვირთული საზღვარია სარფი 1,059,151 (22.5%), მას მოსდევს თბილისის საერთაშორისო აეროპორტი 1,040,729 (22.1%), ყაზბეგი 844,115 (17.9%) და სადახლო 704,560 (15%) ვიზიტით. საერთაშორისო ვიზიტების უდიდესი წილი სწორედ ამ ოთხი საზღვრიდან ფიქსირდება, რაც მთლიანი საერთაშორისო ვიზიტების 77.6%-ია.

ევროკავშირის ქვეყნებიდან (გაერთიანებული სამეფოს ჩათვლით) საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ 272,916 (+96.1%) შეადგინა. ყველაზე მეტი ვიზიტი გერმანიიდან 48,548 (+129.1%), პოლონეთიდან 41,917 (+35.3%) და გაერთიანებული სამეფოდან 21,407 (+169.7%) დაფიქსირდა.

საერთაშორისო ვიზიტების უმრავლესობა მამაკაცების მიერ განხორციელდა - 3,038,051 (64.6%), ქალების ვიზიტებმა 1,665,894 (35.4%) შეადგინა. ყველაზე მეტი ვიზიტი 31-50 ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებმა განახორციელეს 2,316,023 (49.2%). მას მოსდევს 15-30 ასაკობრივი ჯგუფი 1,201,138 (25.5%) და 51-70 ასაკობრივი სეგმენტი 1,106,003 (23.5%). ყველაზე მცირე ასაკობრივი ჯგუფი 71+ მხოლოდ ვიზიტების 1.7%-ს აერთიანებს, რაც რაოდენობრივად 80,781 ვიზიტია.

ძირითადი ინფორმაცია

საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების სტატისტიკა მოწოდებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ.

მეთოდოლოგია

საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების სტატისტიკა აღწერს ვიზიტების რაოდენობის დინამიკას, რომლებიც 21 სასაზღვრო გამშვები პუნქტის საშუალებით განხორციელდა. მეთოდოლოგია ეყრდნობა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს, რომელიც გულისხმობს დასრულებულ ვიზიტებს.

ძირითადი გამოქვეყნებული ინდიკატორები

მოგზაური არის ნებისმიერი ასაკის პირი, რომელიც გადაადგილდება სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალს შორის ნებისმიერი ხანგრძლივობითა და მიზნით. ის გამორიცხავს საქართველოს რეზიდენტ სხვა ქვეყნის მოქალაქეებს და მოიცავს საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც უცხო ქვეყნის რეზიდენტები არიან. საერთაშორისო მოგზაურის მიერ განხორციელებულ ვიზიტს საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტად მოვიხსენიებთ. არსებობს მოგზაურთა ორი ტიპი: ვიზიტორები და სხვა მოგზაურები.

ვიზიტორი არის 15 წლის ან უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი მოგზაური, რომელმაც განახორციელა ვიზიტი საკუთარი ჩვეული გარემოდან საქართველოს ტერიტორიაზე ერთ წელზე ნაკლები დროით. საქართველოში ჩვეული გარემოს განსასაზღვრად შეირჩა მეთოდი, რომლის თანახმადაც ჩვეულ გარემოში ითვლება ის ვიზიტები, რომელიც თვეში 8-ჯერ ან 8-ზე მეტჯერ ხორციელდება. საერთაშორისო ვიზიტორის მიერ განხორციელებულ ვიზიტს, საერთაშორისო ვიზიტს ვუწოდებთ.

სხვა მოგზაურები (არატურისტული) - მოიცავს ყველა იმ ვიზიტს, რომელიც არ შედის საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორიცელებული ვიზიტების რაოდენობაში. ეს კატეგორია მოიცავს 15 წლის ან უმცროსი ასაკის მოგზაურების ვიზიტებს და ჩვეულ გარემოში განხორციელებულ ვიზიტებს (8 და 8-ზე მეტი თვეში).

ტურისტი არის ვიზიტორი, რომელმაც ღამე გაათენა საქართველოს ტერიტორიაზე. მათ მიერ განხორციელებული ვიზიტები საერთაშორისო ტურისტული ვიზიტებია.

ერთდღიანი (ექსკურსანტი) არის ვიზიტორი, რომელიც ღამეს არ ათენებს საქართველოს ტერიტორიაზე. მათ მიერ განხორციელებული ვიზიტები ერთდღიანი (ექსკურსიული) ვიზიტებია.

ყველა მოგზაურთა ტიპი, რომლებიც ტურიზმში არიან ჩართულები ვიზიტორებს წარმოადგენენ. ამიტომ ვიზიტორი ტურიზმის სტატისტიკის მთლიანი სისტემის მთავარ კონცეფციად ითვლება. მოცემულ თავში სწორედ ამ კონცეფციაზე დაყრდნობით კეთდება ქვეყნების, საზღვრების, საზღვრის ტიპების, სქესის და ასაკის ტენდენციების ანალიზი. ტერმინი ვიზიტორი თავის მხრივ იყოფა ორ კატეგორიად: ტურისტები (ვიზიტორები ღამისთევით) და ერთდღიანი ვიზიტორები.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ვებ გვერდზე: www.gnta.ge

საერთაშორისო მოგზაურების კლასიფიკაცია

ვიზიტების ტიპი	2021	2022	ცვლილება	ცვლილება %	წილი
საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები	1,881,271	5,426,903	3,545,632	188.5%	100.0%
საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები	1,721,242	4,703,945	2,982,703	173.3%	86.7%
ტურისტული ვიზიტი	1,577,463	3,652,949	2,075,486	131.6%	77.7%
ერთდღიანი ვიზიტი	143,779	1,050,996	907,217	631.0%	22.3%
სხვა (არატურისტული)	160,029	722,958	562,929	351.8%	13.3%

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო ვიზიტები თვეების მიხედვით



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო ვიზიტები საქართველოში



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო ვიზიტები საქართველოში



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო ვიზიტები საზღვრების მიხედვით

საზღვარი	მოსაზღვრე ქვეყანა	2021	2022	ცვლილება	ცვლილება %	წილი
ჯამი		1,721,242	4,703,945	2,982,703	173.3%	100%
მათ შორის						
სარფი	თურქეთი	253,859	1,059,151	805,292	317.2%	22.5%
თბილისის აეროპორტი	.....	568,149	1,040,729	472,580	83.2%	22.1%
ყაზბეგი	რუსეთი	220,788	844,115	623,327	282.3%	17.9%
სადახლო	სომხეთი	125,047	704,560	579,513	463.4%	15.0%
ბათუმის აეროპორტი	.....	221,853	264,021	42,168	19.0%	5.6%
ქუთაისის აეროპორტი	.....	87,156	231,566	144,410	165.7%	4.9%
წითელი ხიდი	აზერბაიჯანი	111,744	147,873	36,129	32.3%	3.1%
კარწახი	თურქეთი	28,511	126,707	98,196	344.4%	2.7%
ნინოწმინდა	სომხეთი	26,808	118,367	91,559	341.5%	2.5%
გუგუთი	სომხეთი	17,791	42,374	24,583	138.2%	0.9%
ცოდნა	აზერბაიჯანი	8,312	40,886	32,574	391.9%	0.9%
ვალე	თურქეთი	33,495	39,121	5,626	16.8%	0.8%
სადახლოს რკინიგზა	სომხეთი	8,486	24,172	15,686	184.8%	0.5%
ფოთის პორტი	.....	3,164	9,006	5,842	184.6%	0.2%
ბათუმის პორტი	.....	3,626	7,689	4,063	112.1%	0.2%
ყულევის პორტი	.....	60	1,341	1,281	2135.0%	0.0%
გარდაბნის პორტი	აზერბაიჯანი	1,147	1,159	12	1.0%	0.0%
კრწახის რკინიგზა	თურქეთი	1,246	1,024	-222	17.8%	0.0%
ახკეპი	სომხეთი	0	84	84		0.0%

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

emotions are Georgia

საერთაშორისო ვიზიტები, პირველი 15 ქვეყანა

	ქვეყანა	2021	2022	ცვლილება 2021/2022	ცვლილება 2021/2022 %
1	რუსეთი	212,979	1,087,257	874,278	410.5%
2	თურქეთი	326,494	925,561	599,067	183.5%
3	სომხეთი	164,698	742,593	577,895	350.9%
4	ისრაელი	100,686	210,178	109,492	108.7%
5	უკრაინა	144,901	168,915	24,014	16.6%
6	აზერბაიჯანი	82,718	152,969	70,251	84.9%
7	ბელარუსი	53,698	130,046	76,348	142.2%
8	ყაზახეთი	66,787	120,494	53,707	80.4%
9	საუდის არაბეთი	63,437	119,921	56,484	89.0%
10	ირანი	18,549	102,877	84,328	454.6%
11	ინდოეთი	24,992	52,841	27,849	111.4%
12	გერმანია	21,194	48,548	27,354	129.1%
13	უზბეკეთი	36,384	47,953	11,569	31.8%
14	პოლონეთი	30,988	41,917	10,929	35.3%
15	აშშ	19,470	35,319	15,849	81.4%

საერთაშორისო ტურისტული ვიზიტები, პირველი 15 ქვეყანა

	ქვეყანა	2021	2022	ცვლილება 2021/2022	ცვლილება 2021/2022 %
1	რუსეთი	191,005	868,229	677,224	354.6%
2	თურქეთი	284,909	540,135	255,226	89.6%
3	სომხეთი	110,632	383,226	272,594	246.4%
4	ისრაელი	99,351	205,874	106,523	107.2%
5	უკრაინა	142,456	156,919	14,463	10.2%
6	აზერბაიჯანი	75,465	135,429	59,964	79.5%
7	ბელარუსი	51,798	125,615	73,817	142.5%
8	საუდის არაბეთი	62,971	117,480	54,509	86.6%
9	ყაზახეთი	63,817	115,022	51,205	80.2%
10	ირანი	18,121	100,910	82,789	456.9%
11	ინდოეთი	24,941	52,688	27,747	111.3%
12	უზბეკეთი	35,537	46,004	10,467	29.5%
13	გერმანია	20,431	45,635	25,204	123.4%
14	პოლონეთი	30,787	41,150	10,363	33.7%
15	აშშ	19,206	34,087	14,881	77.5%

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო ვიზიტები ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო ვიზიტები სქესის მიხედვით



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო ვიზიტების მახასიათებლები

საერთაშორისო ვიზიტების მახასიათებლები

საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ ჯამში 4,703,945 შეადგინა. მათგან 77.7% (3,652,949) ტურისტულ ვიზიტს წარმოადგენდა (მინიმუმ ერთ ღამისთევას მოიცავდა), ხოლო 22.3% ერთდღიანი ვიზიტი (1,050,996) იყო.

საქართველოში მთლიანი ვიზიტების 69.1% განმეორებით განხორციელდა, 30.9% კი პირველი ვიზიტი იყო. განმეორებითი ვიზიტების ყველაზე დიდი წილი სომხეთის ვიზიტებზე მოდის (96%), მას მოსდევს აზერბაიჯანი (92.5%), თურქეთი (72.9%) და რუსეთი (75.3%). პირველადი ვიზიტების რაოდენობაში კი ლიდერობენ თურქეთი და რუსეთი, მათზე შესაბამისად მთლიანი პირველადი ვიზიტების 27.1% და 24.7% მოდის.

მოგზაურობის მიზანი

საერთაშორისო ვიზიტების უმრავლესობა დასვენება, გართობა, რეკრეაციის მიზნით განხორციელდა (53.6%). სხვა ხშირად ნახსენებ მიზნებს შორისაა მეგობრებისა და ნათესავების მონახულება (20%), ტრანზიტი (13.6%), ბიზნესი, პროფესიული საქმიანობა (6.6%) და შოპინგი (4.2%), მხოლოდ ვიზიტების 2% იყო სხვა მიზნით განხორციელებული.

ვიზიტის ხანგრძლივობა

2022 წელს საქართველოში ჩამოსული საერთაშორისო ვიზიტორების ჯამური ღამისთევების რაოდენობა 29,380,748-ს შეადგენს, მათი საშუალო ღამისთევა კი 6.2 ღამეა.

დასვენება, გართობა, რეკრეაციის მიზნით ვიზიტორების საშუალო ღამისთევა 7.2 ღამეა, მეგობრების და ნათესავების მონახულების სეგმენტის 7.6 ღამე, პროფესიული, ეკონომიკური საქმიანობის მიზნით განხორციელებული ვიზიტების საშუალო რაოდენობა კი 7.7 ღამე. საქართველოში შემოსული პირველადი ვიზიტორების საშუალო ღამისთევები 7.3 ღამეს შეადგენს, განმეორებითი შემოსულების კი 5.8 ღამეს. საჰაერო ტრანსპორტით შემოსულები საშუალოდ უფრო მეტი ხნით რჩებიან - 8.4 ღამე, ვიდრე სახმელეთო ტრანსპორტით შემოსულები - 5 ღამე.

მთლიანი ღამისთევებიდან ყველაზე დიდი წილი (40.8%) სასტუმროში განხორციელდა. მეოთხედზე მცირედით ნაკლები (23%) კი ნაქირავებ სახლში, ხოლო ვიზიტორთა 8.1% სასტუმრო სახლში, ჰოსტელში დარჩა.

ვიზიტის დანიშნულების რეგიონი და ადგილი

ვიზიტების 57.2% საქართველოს დედაქალაქში განხორციელდა, მას მოსდევს აჭარა 45.1%-ითა და მცხეთა-მთიანეთი 19%-ით. დანარჩენ რეგიონებს შედარებით მცირე ვიზიტორები სტუმრობენ: ქვემო ქართლი 7.9%, სამცხე-ჯავახეთი 7.7%, იმერეთი 7.5%, კახეთი 5.8%, სამეგრელო-ზემო სვანეთი 3.1%, შიდა ქართლი 2.9%, გურია 1.3%, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი 0.2%.

ადგილების მიხედვით თბილისი და ბათუმი (43.8%) ლიდერობენ. სხვა დანიშნულების ადგილებს ვიზიტორთა უფრო ნაკლები რაოდენობა ესტუმრა. მათ შორის ყველაზე პოპულარულია: ყაზბეგი 9.4%, მცხეთა 8.9% და ქუთაისი 7.1%. სხვა მნიშვნელოვანი დანიშნულების ადგილებია: ბორჯომი (6.3%), გუდაური (6.2%), მარნეული (5.9%), სიღნაღი (4.2%), ქობულეთი (3.2%), გორი (2.7%).

დასვენება, გართობა, რეკრეაციის მიზნით განხორციელებული ვიზიტების უმრავლესობა აჭარაში განხორციელდა 63.4%, შემდეგ მოდის თბილისი 56.6% და მცხეთა-მთიანეთი 21.4%. მეგობრების და ნათესავების მონახულების მიზნით განხორციელებულ ვიზიტებში კი მონაცემები შემდეგნაირად ნაწილდება: თბილისი 61.9% და აჭარა 25.8%.

ვიზიტზე გაწეული დანახარჯები

საერთაშორისო ვიზიტორების ჯამურმა დანახარჯებმა 10.8 მილიარდ ლარს მიაღწია, ხოლო ერთი ვიზიტისას გაწეულმა საშუალო დანახარჯმა 2,298 ლარი შეადგინა. დანახარჯების ყველაზე დიდი წილი საკვებსა და სასმელზე (მთლიანი ხარჯების 33.2%) და განთავსების საშუალებებზე (31%) დაფიქსირდა. ასევე მნიშვნელოვანი წილით იყო წარმოდგენილი რეკრეაციულ და კულტურულ აქტივობებზე დანახარჯები (10.8%), ხოლო შოპინგზე ვიზიტორებმა მთლიანი დანახარჯების მხოლოდ 15.4% გასწიეს.

დასვენება, გართობა, რეკრეაციის მიზნით ვიზიტების საშუალო დანახარჯი ერთ ვიზიტზე შეადგენდა 2,905 ლარს, პროფესიული ეკონომიკური საქმიანობის სეგმენტის საშუალო დანახარჯი კი 2,725 ლარით განისაზღვრა.

ძირითადი ინფორმაცია

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ განხორციელებული კვლევის მიზანს საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების მახასიათებლების განსაზღვრა წარმოადგენს.

მეთოდოლოგია

მეთოდოლოგია ეყრდნობა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს. მონაცემები დამყარებულია კვლევის შედეგებზე, რომელიც პირისპირი ინტერვიუს ტექნიკის გამოყენებით ხორციელდება. ინტერვიუები ტარდება კვარტლურად, სისტემური შემთხვევითი შერჩევის მეთოდით. შერჩევის ზომა იცვლება კვარტლების მიხედვით: I, II და IV კვარტალში - თვეში 900 რესპონდენტი, III კვარტალში - თვეში 1300 რესპონდენტი.

ინტერვიუები ხორციელდება 15 წლის და უფროსი ასაკის საერთაშორისო ვიზიტორებთან, რომლებიც ტოვებენ საქართველოს ტერიტორიას ათ უდიდეს სასაზღვრო გამშვებ პუნქტში (აეროპორტები და სახმელეთო საზღვარები).

მთავარი გამოსაქვეყნებელი ინდიკატორები

მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ვიზიტის მიზანი და სიხშირე, გაჩერების ხანგრძლივობა, მონახულებული ადგილი, განთავსების საშუალება, ინფორმაციის წყარო, თანმხლები პირები, ტრანსპორტის საშუალებები, ვიზიტის ორგანიზება, პოპულარული აქტივობები, კმაყოფილების დონე.

დეტალური ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის www.gnta.ge და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ გვერდზე: www.geostat.ge

ვიზიტის რიგითობა



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ვიზიტის მთავარი მიზანი



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

განთავსების საშუალებებში ღამისთევა



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საშუალო დანახარჯი მთავარი მიზნის მიხედვით (ლარი)

კომპონენტები	მთლიანი დანახარჯი ლარი (X1000)	დანახარჯის წილი
საკვები და სასმელი	3,591,867	33.2%
განთავსების საშუალებები	3,351,528	31.0%
შოპინგი	1,669,672	15.4%
რეკრეაცია, კულტურული და სპორტული აქტივობები	1,164,521	10.8%
ადგილობრივი ტრანსპორტი	858,749	7.9%
სხვა დანახარჯები	171,734	1.6%
მთლიანი დანახარჯი	10,808,070	100.0%

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ტოპ 10 არამეზობელი ქვეყანა საშუალო დანახარჯის და ღამისთევის მიხედვით

ქვეყანა	საშუალო დანახარჯი ვიზიტზე	საშუალო ღამისთევის რაოდენობა
ისრაელი	3,782	5.7
საუდის არაბეთი	5,391	8.0
უკრაინა	2,781	10.2
ბელარუსი	3,434	14.6
ყაზახეთი	3,388	7.0
არაბთა გაერთიანებული საემიროები	3,302	6.5
გერმანია	2,996	8.8
ირანი	3,393	6.8
აშშ	4,818	11.1
პოლონეთი	2,249	8.1

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საშუალო დანახარჯი მთავარი მიზნის მიხედვით



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ვიზიტები რეგიონების მიხედვით



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ვიზიტები ლოკაციების მიხედვით



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შიდა ვიზიტების მახასიათებლები

შიდა ვიზიტორებმა მოცემულ პერიოდში მთლიანობაში 16.3 მილიონი ვიზიტი განახორციელეს, ყველაზე მეტი მოგზაურობა (37%) თბილისიდან დაფიქსირდა. შიდა ვიზიტების უმეტესობა საქართველოს მთავარი ქალაქების მიმართულებით განხორციელდა.

ვიზიტის ხანგრძლივობა და მიზნები

ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა 1.9 ღამეს შეადგენდა. თბილისის მკვიდრთა ვიზიტების საშუალო ხანგრძლივობა ყველაზე მაღალი იყო - 2.7 ღამე, ხოლო სხვა რეგიონებისთვის ეს მაჩვენებელი ერთ ღამეს შეადგენდა. შიდა ვიზიტების დიდი ნაწილი (50.8%) საქართველოს რეზიდენტებმა მეგობრების, ნათესავების მოსანახულებლად განახორციელეს. ვიზიტორების 12.3%-ისთვის მოგზაურობის მთავარ მიზანს, მეორე სახლის მონახულება წარმოადგენდა, ასევე მნიშვნელოვანი წილი 11.7% დაიკავა შოპინგის მიზნით განხორციელებულმა ვიზიტებმა. რაც შეეხება დასვენება, გართობა, რეკრეაციის მიზნით განხორციელებულ ვიზიტებს, მათი წილი 9.7% იყო. მკურნალობა/გაჯანსაღების მიზნით კი ვიზიტების 8.9% განხორციელდა. სხვა ხშირად დაფიქსირებულ მიზნებს შორის იყო ბიზნესი და პროფესიული საქმიანობა 3.2%.

ვიზიტის დანიშნულების ადგილი

შიდა ვიზიტების 23.3% თბილისის მოსანახულებლად განხორციელდა. მას მოსდევს ბათუმი 7.6% და ქუთაისი 5.7%. სხვა დანიშნულების ადგილებს შორის იყო რუსთავი 3.3%, მცხეთა 3.2%, გორი 1.8%, ზუგდიდი 1.4% და ქობულეთი 1.2%. რეგიონებს შორის ყველაზე პოპულარული იმერეთი 17%, აჭარა 11.2% და კახეთი 9.3% იყო.

განთავსების საშუალებები

შიდა ვიზიტორების მიერ განხორციელებულმა ღამისთევების საერთო რაოდენობამ 30.6 მილიონი შეადგინა. მათ შორის, ვიზიტორებმა ღამისთევების 53.5% მეგობრის, ნათესავის ბინაში გაატარეს, 31.5% - საკუთარ სახლში, ხოლო 4.87% კი სასტუმრო სახლსა და ჰოსტელში.

დანახარჯები

შიდა ვიზიტორების მიერ განხორციელებული დანახარჯების ჯამური მაჩვენებელი 3 მილიარდ ლარს შეადგენდა, ხოლო ერთი ვიზიტისას გაწეული საშუალო დანახარჯი 182.4 ლარს. დანახარჯების ყველაზე დიდი წილი 32.5% შოპინგზე დაფიქსირდა.

ძირითადი ინფორმაცია

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ განხორციელებული კვლევის მიზანს შიდა ვიზიტების სტრუქტურის განსაზღვრა წარმოადგენს.

მეთოდოლოგია

მონაცემები დაფუძნებულია კვლევის შედეგებზე, რომელიც პირისპირი ინტერვიუს ტექნიკის გამოყენებით ჩატარდა. ქვეყნის მასშტაბით გამოიკითხა საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრები 15 წლის და უფროსი ასაკის რესპონდენტები, რომელთაც ბოლო ერთი თვის განმავლობაში განხორციელებული ჰქონდათ ვიზიტი საქართველოში.

შიდა ტურიზმი - საქართველოს ტერიტორიაზე რეზიდენტების მიერ მათი ბუნებრივი გარემოს ფარგლებს გარეთ განხორციელებული ვიზიტი. იმისათვის, რომ ვიზიტს მიენიჭოს შიდა ვიზიტის კლასიფიკაცია, ერთდროულად ორი ლოკაციისა და რეგულარობის მეთოდი გამოიყენება. კერძოდ, ბუნებრივი გარემოს უკეთესად წარმოსაჩენად მნიშვნელოვანი ფაქტია შიდა ვიზიტი განხორციელდა თუ არა მუნიციპალიტეტის გარეთ. მეორე მეთოდი განსაზღვრავს კონკრეტულად ვიზიტის სიხშირეს, თუ შიდა ვიზიტორი სტუმრობს სხვა მუნიციპალიტეტს უფრო იშვიათად ვიდრე ორ კვირაში ერთხელ, ეს ვიზიტი არ განიხილება, როგორც რეგულარული.

ძირითადი ინდიკატორები

საცხოვრებელი ადგილი, ვიზიტის მიზანი და სიხშირე, ვიზიტის ხანგრძლივობა, მონახულებული ადგილები, განთავსების საშუალებები, ინფორმაციის წყაროები, სატრანსპორტო საშუალებები, კმაყოფილების დონე, დანახარჯები.

დეტალური ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის www.gnta.ge და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ გვერდზე: www.geostat.ge

23.3% თბილისი ყველაზე პოპულარული დანიშნულების ადგილი

6% ქუთაისი

8% ბათუმი

ასაკობრივი პროფილი



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ვიზიტის მთავარი მიზანი



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

განთავსების საშუალებებში ღამისთევა



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ტურიზმის პოპულარული აქტივობები



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ვიზიტის დანახარჯები

კომპონენტები	მთლიანი დანახარჯი ლარი (X1000)	დანახარჯის წილი
შოპინგი	967,083	32.5%
საკვები და სასმელი	695,201	23.3%
ადგილობრივი ტრანსპორტი	636,580	21.4%
განთავსების საშუალებები	170,448	5.7%
რეკრეაცია, კულტურული და სპორტული აქტივობები	32,610	1.1%
სხვა დანახარჯები	477,330	16.0%

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ვიზიტის ხანგრძლივობა

რეგიონი	ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა
თბილისი	1.5
აჭარა	1.7
გურია	3.1
იმერეთი	1.9
კახეთი	1.9
მცხეთა-მთიანეთი	0.8
სამეგრელო-ზემო სვანეთი	2.3
სამცხე-ჯავახეთი	3.2
ქვემო-ქართლი	1.4
შიდა-ქართლი	1.2
სხვა რეგიონები	5.0

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ვიზიტები რეგიონების მიხედვით



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ხშირად მონახულებადი ადგილები



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გამყვანი ვიზიტების მახასიათებლები

გამყვანი ვიზიტების რაოდენობამ ჯამში 1,693,189 შეადგინა. მათგან 55.8% (944,222) ტურისტულ ვიზიტს წარმოადგენდა (მინიმუმ ერთ ღამისთევას მოიცავდა), ხოლო 44.2% ერთდღიანი ვიზიტი (748,967) იყო.

გამყვანი ვიზიტების ყველაზე დიდ ნაწილს (49.2%) 31-50 წლის ასაკობრივი კატეგორია წარმოადგენდა, 15-30 წლის ვიზიტორები 25.9%-ს შეადგენდნენ, ხოლო 51-70 წლის ასაკობრივი ჯგუფი 23.1%-ს. გამყვანი ვიზიტორების მხოლოდ 1.8% იყო 71+ ასაკის. გამყვანი ვიზიტორების უმრავლესობა 53.5% კაცი იყო, ხოლო 46.5% კი ქალი.

მთლიანი ვიზიტების 95.9% განმეორებით განხორციელდა სხვა ქვეყანაში, 4.1% კი პირველი ვიზიტი იყო.

მოგზაურობის მიზანი

გამყვანი ვიზიტების უმრავლესობა შოპინგის მიზნით განხორციელდა (41.1%), ასევე მეგობრების, ნათესავების მონახულების მიზნით (22.2%). სხვა ხშირად ნახსენებ მიზნებს შორისაა: ეკონომიკური საქმიანობა (19%), დასვენება, გართობა, რეკრეაცია (12.4%), მკურნალობა (2.6%) და განათლება (1.4%), მხოლოდ ვიზიტების 1.3% იყო სხვა მიზნით განხორციელებული.

განთავსების საშუალებები და ხანგრძლივობა

2022 წელს გამყვანი ვიზიტების ჯამურმა ღამისთევების რაოდენობამ 10,321,472 შეადგინა, მათი საშუალო ღამისთევა კი 6.1 ღამე იყო.

მთლიანი ღამისთევებიდან ყველაზე დიდი წილი (36.3%) მეგობრებისა და ნათესავების სახლში განხორციელდა. შემდეგ მოდის საკუთარი სახლი (17.9%) და სასტუმრო (17.3%)სხვა ტიპის განთავსების საშუალებები ნაკლებად გამოიყენება გამყვან ვიზიტორებს შორის, 12.5% ნაქირავებ სახლში დარჩა.

გამყვანი ვიზიტის დანიშნულების ადგილი

მთლიანი ვიზიტების უმრავლესობა, 78,6% მეზობელ ქვეყნებში განხორციელდა. მათ შორის ლიდერი თურქეთია - 55.6%, მას მოსდევს რუსეთი - 14.6% და სომხეთი - 7.2%. მეზობელ ქვეყნებში ყველაზე ნაკლები ვიზიტი 1.2% აზერბაიჯანში იყო. არამეზობელ ქვეყნებში შედარებით ნაკლები ვიზიტები ხორციელდება. მათ შორის ლიდერობს არაბთა გაერთიანებული საემიროები 2.9%, გერმანია 2.5% და პოლონეთი 2.2%.

ვიზიტზე გაწეული დანახარჯები

2022 წელს გამყვანი ვიზიტორების ჯამურმა დანახარჯებმა 1.8 მილიარდ ლარს მიაღწია, ხოლო ერთი ვიზიტისას გაწეულმა საშუალო დანახარჯმა 1,070 ლარი შეადგინა. დანახარჯების ყველაზე დიდი წილი შოპინგზე (მთლიანი ხარჯების 41.7%), საკვებსა და სასმელზე (30.8%) დაფიქსირდა. ასევე მნიშვნელოვანი წილით იყო წარმოდგენილი განთავსებაზე დანახარჯები (14.1%), ხოლო კულტურულ და გასართობ აქტივობებზე ვიზიტორებმა მთლიანი დანახარჯების მხოლოდ 2.9% გასწიეს.

ძირითადი ინფორმაცია

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ განხორციელებული კვლევის მიზანს საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საზღვარგარეთ გახორციელებული ვიზიტების მახასიათებლების განსაზღვრა წარმოადგეს.

მეთოდოლოგია

მეთოდოლოგია ეყრდნობა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს. მონაცემები დამყარებულია კვლევის შედეგებზე, რომელიც პირისპირი ინტერვიუს ტექნიკის გამოყენებით ხორციელდება, ინტერვიუები ტარდება კვარტალურად სისტემური შერჩევის მეთოდით. შერჩევის ზომა არის წელიწადში 12 000 კითხვარი (თვეში 1 000 კითხვარი). ინტერვიუები ხორციელდება 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტ ვიზიტორებთან, რომლებიც ბრუნდებიან საქართველოში უცხოეთში განხორციელებული ვიზიტის შემდეგ. გამოკითხვა ტარდება ათ სასაზღვრო გამშვებ პუნქტში (აეროპორტები და სახმელეთო საზღვრები).

მთავარი გამოსაქვეყნებელი ინდიკატორები

მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ვიზიტის მიზანი, გაჩერების ხანგრძლივობა, მონახულებული ადგილი, განთავსების საშუალება, ინფორმაციის წყარო, თანხმლები პირი, ტრანსპორტის საშუალებები, ვიზიტის ორგანიზება, პოპულარული აქტივობები, კმაყოფილების დონე.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ვებ გვერდზე: www.gnta.ge და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ გვერდზე: www.geostat.ge

ვიზიტის რიგითობა



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ვიზიტის მთავარი მიზანი



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ღამისთევა განთავსების საშუალებების მიხედვით



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ტურიზმის პოპულარული აქტივობები



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანახარჯების სტრუქტურა

დანახარჯების სტრუქტურა (ლარი)	2022	დანახარჯის წილი
შოპინგი	755,282,311	41.7%
საკვები და სასმელი	557,961,823	30.8%
განთავსების საშუალებები	254,741,132	14.1%
ადგილობრივი ტრანსპორტი	157,080,824	8.7%
რეკრეაცია, კულტურული და სპორტული აქტივობები	51,731,297	2.9%
სხვა დანახარჯები	35,511,669	2.0%
მთლიანი დანახარჯი	1,812,309,056	100%

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გამყვანი ვიზიტების, პირველი 15 ქვეყანა

	მონახულებული ქვეყანა	2022	წილი
1	თურქეთი	941,441	55.6%
2	რუსეთი	247,450	14.6%
3	სომხეთი	121,954	7.2%
4	არაბთა გაერთიანებული საემიროები	49,512	2.9%
5	გერმანია	41,821	2.5%
6	ყაზახეთი	40,135	2.4%
7	პოლონეთი	36,643	2.2%
8	აზერბაიჯანი	20,899	1.2%
9	ბელარუსი	18,410	1.1%
10	ისრაელი	17,311	1.0%
11	აშშ	16,519	1.0%
12	საფრანგეთი	14,324	0.8%
13	იტალია	13,275	0.8%
14	ესპანეთი	12,877	0.8%
15	საბერძნეთი	11,610	0.7%

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

emotions are Georgia

მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრია მომსახურებებს შორის ერთ-ერთი სწრაფად აღდგენადი სექტორია. მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTTC) მონაცემებით, 2022 წელს ამ დარგის კონტრიბუციამ მშპ-ში 7.6% შეადგინა (ზრდა წინა წელთან შედარებით 22%) და ხელი შეუწყო 22 მილიონი ახალი სამუშაო ადგილის შექმნას, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 7.9%-ით მეტია. შიდა ვიზიტორების დანახარჯები 2022 წელს წინა წელთან შედარებით 20.4%-ით გაიზარდა. რაც შეეხება საერთაშორისო ვიზიტორების დანახარჯებს, წინა წელთან შედარებით მაჩვენებელი 81.9%-ით გაიზარდა, თუმცა ჯერ კიდევ ჩამორჩება 2019 წლის მაჩვენებელს (Economic Impact of Travel and Tourism 2023, Annual Update, WTTC).

ტურიზმი - უხილავი ექსპორტი

უცხოელი მოგზაურების დანახარჯებს დიდი გავლენა აქვს საქართველოს ეკონომიკაზე. აქტივების მხარეს საგადამხდელო ბალანსი აღწერს საქართველოს შემოსავალს არარეზიდენტების მოგზაურობიდან საქართველოში, ხოლო ვალდებულების მხარეს აჩვენებს საქართველოს რეზიდენტების დანახარჯებს საზღვარგარეთ ყოფნის დროს. საქართველოში 2022 წელს საერთაშორისო მოგზაურობიდან (ტურიზმიდან) შემოსავალმა 3.52 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა (ზრდა +182.7%), ხოლო საქართველოს მოქალაქეების დანახარჯებმა უცხოურ მოგზაურობაზე 408.6 მილიონი აშშ დოლარი (ზრდა +121.2%). შედეგად საერთაშორისო მოგზაურობის ბალანსი საქართველოში 3.11 მილიარდი აშშ დოლარით (ზრდა +193.4%) განისაზღვრა. აღნიშნული ზრდა აისახა საერთაშორისო მოგზაურობის წილზე სერვისის ექსპორტში, რომელიც 48.9%-დან 62.3%-მდე გაიზარდა.

2022 წელს საერთაშორისო მოგზაურების მიერ უცხოური საგადახდო ბარათებით განხორციელებულმა ოპერაციებმა 3.62 მილიარდი ლარი შეადგინა, წინა წელთან შედარებით +60.3%-იანი ზრდა დაფიქსირდა.

ტურიზმთან ასოცირებული ინდუსტრიების წილი ეკონომიკაში

წინასწარი მონაცემებით 2022 წელს მთლიანმა დამატებულმა ღირებულებამ 4.45 მილიარდ ლარამდე შეადგინა (ზრდა +27.1%). შედეგად, ტურიზმთან ასოცირებული ინდუსტრიების წმინდა დამატებული ღირებულება, როგორც მშპ-ის წილი 6.7%-დან 7.2%-მდე გაიზარდა. 2022 წელს ტურიზმის სექტორში დამატებული ღირებულება ძირითადად შეიქმნა ტრანსპორტში (წილი 43.5%), განთავსების საშუალებებში (წილი 32.3%), კვების საშუალებებსა (წილი 21.1%) და ტურისტულ კომპანიებში (წილი 3.1%).

ძირითადი გამოქვეყნებული ინდიკატორები

1. **ტურიზმის წილი მთლიან შიდა პროდუქტში.**
2. **ტურიზმის წილი მთლიან გამოშვებაში.**
3. **უცხოური ვალუტის შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან.**
4. **უცხოური ვალუტის დანახარჯები უცხოურ ტურიზმზე.**
5. **უცხოური ტურიზმის ბალანსი.**
6. **საერთაშორისო მოგზაურების მიერ უცხოური საგადახდო ბარათებით განხორციელებული ოპერაციები**

უფრო დეტალური ინფორმაცია ტურიზმის ეკონომიკაში კონტრიბუციის შესახებ იხილეთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის www.geostat.ge, საქართველოს ეროვნული ბანკისა www.nbg.gov.ge, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საიტზე: www.gnta.ge



ტურიზმის წილი მშპ–ში



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ტურიზმის სფეროში შექმნილი დამატებული ღირებულება 2019–2022 (მლნ ლარი)

	2019	2020	2021	2022	ცვლილება% 2021-2022
სულ	3,630	2,558	3,498	4,447	27.1%
მათ შორის					
ტრანსპორტი	1,252	1,322	1,614	1,933	19.8%
განთავსება	1,559	637	1,096	1,437	31.1%
საკვებითა და სასმელებით მომსახურება	664	568	687	938	36.4%
ტურისტული სააგენტოები	154	32	101	139	38.2%

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან (ათასი აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან 2019–2022 (ათასი აშშ დოლარი)

	2019	2020	2021	2022	ცვლილება% 2021-2022
სულ	3,268,654	541,687	1,244,942	3,516,634	182.5%
მათ შორის					
I კვ.	578,442	427,699	53,551	393,708	635.2%
II კვ.	877,626	28,842	246,123	748,822	204.2%
III კვ.	1,126,771	42,534	565,981	1,374,653	142.9%
IVკვ.	685,814	42,611	379,287	999,451	163.5%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საერთაშორისო მოგზაურების მიერ უცხოური საგადახდო ბარათებით განხორციელებული ოპერაციები (ათასი ლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ტურიზმის წილი სერვისის ექსპორტში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2022 წელს საქართველოს ყველა აეროპორტის ჯამურმა მგზავრთნაკადმა 4,423,776 შეადგინა. აღსანიშნავია, რომ 2021 წელთან შედარებით საქართველოს საერთაშორისო აეროპორტებმა მგზავრთნაკადის +77.7%-იანი ზრდა, ხოლო პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით 85.1%-იანი აღდგენა აჩვენა.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თანახმად, 2022 წელს Wizz Air Hungary არის უმსხვილესი კომპანია, რომელიც საქართველოს საავიაციო ბაზარზე საქმიანობს და მგზავრების ყველაზე დიდი რაოდენობა გადაყავს. 2022 წელს ამ კომპანიის მიერ გადაყვანილი მგზავრების რაოდენობამ 588,226 (13.4%) შეადგინა. Turkish Airlines არის მგზავრთა სიდიდით მეორე კომპანია 546,895 (12.5%). მას მოსდევს Pegasus Airlines – 408,780 (9.3%); Belavia – 243,620 (5.6%); Fly Dubai - 227,612 (5.2%); Azerbaijan Airlines – 209,415 (4.8%); Israir Airlines – 197,109 (4.5%); Flynas – 162,462 (3.7%); Georgian Airways – 148,612 (3.4%); FlyArystan– 138,939 (3.2%) და Air Arabia – 134,280 (3.1%).

2022 წლის მიხედვით, საქართველოში ფრენებს ახორციელებდნენ შემდეგი დაბალ ბიუჯეტიანი ავიაკომპანიები: Pegasus Airlines, Air Arabia, Air Arabia – Abu Dhabi, Air Baltic, Buta Airways, Bees Airlines, Air Cairo, Flynas, FlyArystan, Jazzira Airways, Fly Dubai, Skyup Airlines, Ukraine International Airlines, Wizz Air Hungary, Wizz Air Abu Dhabi, Eurowings, Flyadeal, Thai AirAsia X, Jordan Aviation, Fly Jordan, Fly One Armenia, Fly Arna, Getjet, Southwind Airlanes.

2022 წელს საქართველოს საავიაციო ბაზარზე ცხრა ახალი საერთაშორისო ავიაკომპანია შემოვიდა, ესენია: Flyone Armenia, Condor, Varesh Airlines, Fly Arna, Southwind Airlines, Air Moldova, Flyadeal, Armenia Airways, Thai Air Asia X. ასევე აღსანიშნავია ახალი მიმართულებებით დამატებული რეისები: Eurowings-მა დაიწყო ფრენები თბილისი-შტუდგარდის მიმართულებით, Pegasus Airlines-მა თბილისი-იზმირისა და თბილისი-ანკარას მიმართულებით, Condor-მა თბილისი-ფრანქფურტის მიმართულებით, Airbaltic-მა თბილისი-რიგის მიმართულებით, Thai AirAsia X-მა თბილისი-ბანგკოკის მიმართლებით, Arkia Israel Airlines-მა ბათუმი-ეილათის მიმართულებით, Air Moldova-მა თბილისი-კიშინიოვის მიამრთულებით და Uzbekistan Airways-მა ბათუმი-ტაშკენტის მიმართულებით.

56 საერთაშორისო და ერთი ქართული ავიაკომპანია მგზავრებს კომფორტულ ფრენებს სთავაზობდა საქართველოდან, ხოლო ერთი ქართული ავიაკომპანია (Ak-Air Georgia) შიდა ფრენებს ქვეყნის ტერიტორიაზე.

ძირითადი ინფორმაცია

საქართველოში სამი საერთაშორისო და სამი შიდა აეროპორტი ფუნქციონირებს, რომლებიც სრულად შეესაბამება საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციის (ICAO) სტანდარტებს.

თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებს მართავს თურქული კომპანია TAV Airports Holding Co. აეროპორტებმა ფუნქციონირება შესაბამისად 2007 წლის თებერვალში და მაისში დაიწყეს. 2011 წელს ოფიციალურად გაიხსნა მესტიის თამარ მეფის სახელობის აეროპორტი, ხოლო 2012 წლის სექტემბერში ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი. საქართველოში არსებულ აეროპორტებს 2017 წელს ამბროლაურში კიდევ ერთი ადგილობრივი აეროპორტი დაემატა.

თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების გამტარუნარიანობა წელიწადში 6.1 და 1.5 მილიონი მგზავრია. აღსანიშნავია ქუთაისის აეროპორტის გაფართოება, ქუთაისის აეროპორტი საქართველოში სიდიდით მეორე საერთაშორისო აეროპორტია, რომელიც საშუალოდ წლიურად უპრეცედენტო - 35%-იანი ზრდით გამოირჩევა. განახლებული აეროპორტის ტერმინალის ფართობი დაახლოებით 6-ჯერ აღემატება ძველი ტერმინალის ფართობს და ჯამურად 30,000 კვადრატულ მეტრს შეადგენს. აეროპორტს 7 გასასვლელი აქვს და მისი წლიური გამტარუნარიანობა, მკვეთრად გამოხატული პიკური დატვირთვების პირობებშიც კი 2,500,000 მგზავრზე მეტი იქნება. რაც შეეხება მესტიის და ამბროლაურის აეროპორტებს, მათი დატვირთვა შესაბამისად 50,000 და 50,000 მგზავრია წელიწადში.

მოიცავს შემდეგ აეროპორტებს:

თბილისის საერთაშორისო აეროპორტი, ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი, მესტიის თამარ მეფის სახელობის აეროპორტი და ამბროლაურის აეროპორტი.

ავიაციის სტატისტიკა მოწოდებულია საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ. დეტალური ინფორმაცია იხილეთ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ვებ გვერდზე: https://gcaa.ge/

მგზავრთნაკადის გადანაწილება თვეების მიხედვით



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

ავიაკომპანიების წილობრივი გადანაწილება რეგულარული ფრენების მიხედვით



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

მგზავრები რეგულარული და ჩარტერული რეისების მიხედვით



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

მგზავრები რეგულარული რეისების მიხედვით



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

თბილისის საერთაშორისო აეროპორტი: მგზავრები და ფრენები



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი: მგზავრები და ფრენები



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი: მგზავრები და ფრენები



წყარო: საქართველოს სამოქაღაქო ავიაციის სააგენტო

ახალი ავიაკომპანიები 2022 (რეგულარული)

ავიახაზები	ფრენები	სიხშირე
Thai AirAsia X	ბანგკოკი–თბილისი–ბანგკოკი	კვირაში ორი სიხშირე
Condor	ფრანქფურტი–თბილისი –ფრანქფურტი	
Varesh Airlines	თეირანი–თბილისი–თეირანი	
	მაშადი–თბილისი–მაშადი	
	თეირანი–ბათუმი–თეირანი	
Flyone Armenia	ერევანი–თბილისი–ერევანი	
Southwind Airlines	ანტალია–თბილისი–ანტალია	კვირაში ერთი სიხშირე
FlyArna	ერევანი–თბილისი–ერევანი	
Flyadeal	ჯედა–თბილისი–ჯედა	კვირაში სამი სიხშირე
	დამამი–თბილისი–დამამი	კვირაში ორი სიხშირე
	რიადი–თბილისი–რიადი	კვირაში ოთხი სიხშირე
Air Moldova	კიშინოვი–თბილისი–კიშინოვი	
Armenia Airways	ერევანი–თბილისი–ერევანი	

წყარო: საქართველოს სამოქაღაქო ავიაციის სააგენტო

დაცული ტერიტორიები

დაცული ტერიტორიები იქმნება უმნიშვნელოვანესი ეროვნული მემკვიდრეობის უნიკალური, იშვიათი და დამახასითებელი ეკოსისტემების, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად; დაცული ტერიტორიები ასევე გამოიყენება სამეცნიერო, საგანმანათლებლო, რეკრეაციული მიზნებისათვის.

დღევანდელი მდგომარეობით საქართველოში შექმნილია: 14 სახელმწიფო ნაკრძალი, 14 ეროვნული პარკი, 40 ბუნების ძეგლი, 26 აღკვეთილი და 5 დაცული ლანდშაფტი, 1 მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია; საქართველოში (IUCN-ის კრიტერიუმების მიხედვით) 6 სხვადასხვა კატეგორიის 100 დაცულ ტერიტორიას ქვეყნის მთლიანი ფართობის 13% (912 790 ჰა) უკავია.

2022 წლის განმავლობაში დაცულ ტერიტორიებს 902,063 ვიზიტორი ესტუმრა, ზრდამ წინა წელთან შედარებით +53.1% შეადგინა. აქედან უცხოელი ვიზიტორების წილი 54.1%.

ყველაზე მეტი ვიზიტორი პრომეთეს მღვიმეს - 175,788 (19.5%), მარტვილის კანიონს - 172,194 (19.1%) და წალკის კანიონს - 103,061 (11.4%) ესტუმრა. ყველაზე მეტი უცხოელი ვიზიტორიც პრომეთეს მღვიმეს - 138,662 (28.4%), მარტვილის კანიონს - 118,391 (24.2%) და მტირალას ეროვნულ პარკს - 62,176 (12.7%) ესტუმრა.

უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა დაცულ ტერიტორიებზე 488,408 იყო, ზრდა კი 57%. უცხოელ ვიზიტორებს შორის სჭარბობდნენ: რუსეთი (წილი 19.8%), ბელარუსი (13.3%), არაბთა გაერთიანებული საემიროები (9.9%), ყაზახეთი (8.6%) და საუდის არაბეთი (8.1%).

დაცული ტერიტორიების ტურისტული სერვისებიდან მიღებულმა შემოსავლებმა 8,222,081 ლარი შადგინა, ზრდა წინა წელთან შედარებით 44.7%. შემოსავლების მიღების მხრივ ლიდერობდნენ: იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიები - 4,581,911 ლარი და მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლები - 3,033,495 ლარი.

ძირითადი ინფორმაცია

დაცული ტერიტორიების განვითარებაზე პასუხისმგებელ ორგანო დაცული ტერიტორიების სააგენტოა. მის საქმიანობის სფეროს სახელმწიფო ნაკრძალების, ეროვნული პარკების, ბუნების ძეგლების, აღკვეთილების, დაცული ლანდშაფტების და საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი ტერიტორიების სისტემის მართვა წარმოადგენს.

მეთოდოლოგია

ვიზიტორები დაცულ ტერიტორიებზე სტუმრობისას ავსებენ სარეგისტრაციო ფორმებს (წარმომავლობა, ასაკი, სქესი და ა.შ) ვიზიტორთა ცენტრებში, აღნიშნული მონაცემები ტერიტორიული ადმინისტრაციების მიხედვით გროვდება და მუშავდება დაცული ტერიტორიების სააგენტოში.

დაცული ტერიტორიების კატეგორიებია: სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია.

სახელმწიფო ნაკრძალი - მკაცრი დაცვა, საგანმანათლებლო და არამანიპულაციური კვლევები სპეციალური ნებართვით. ამ ტერიტორიაზე ტურისტული აქტივობები არ არის დაშვებული.

ეროვნული პარკი - ეკოსისტემის კონსერვაცია, განათლება, ტურიზმის განვითარება.

ბუნების ძეგლი - ბუნების თავისებურებების კონსერვაცია (მცირე ზომის განსაკუთრებული ტერიტორიის დაცვა).

აღკვეთილი - ბუნების დაცვა და შენარჩუნება აქტიური მართვის გზით.

დაცული ლანდშაფტი - ლანდშაფტის და/ან ზღვის აკვატორიის კონსერვაცია და ტურიზმის განვითარება.

მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია - ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება.

დაცული ტერიტორიების სტატისტიკა მოწოდებულია დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ. დეტალური ინფორმაცია იხილეთ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებ გვერდზე:

http://www.apa.gov.ge/ge/

ვიზიტორთა სტატისტიკა წლების მიხედვით



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

საერთაშორისო ვიზიტორების განაწილება



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

ვიზიტორები ეროვნების მიხედვით

	სულ	უცხოელები	ქართველები
2019	1,999,011	611,989	587,022
2020	240,268	26,432	213,836
2021	589,098	311,014	278,084
2022	902,063	488,408	413,655
ცვლილება% 2021-2022	53.1%	57%	48.8%

წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

ვიზიტორები დაცული ტერიტორიების მიხედვით



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

ქართველი და უცხოელი ვიზიტორების განაწილება დაცულ ტერიტორიებზე



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

შემოსავლების სტატისტიკა (ლარი)



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

ქვეყანა	2021	2022	ცვლილება %
საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები	1,881,271	5,426,903	188.5%
სხვა ვიზიტები (არატურისტული)	160,029	722,958	351.8%
საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები	1,721,242	4,703,945	173.3%
მათ შორის:			
ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა	**845,495**	**2,593,461**	**206.7%**
რუსეთი	212,979	1,087,257	410.5%
სომხეთი	164,698	742,593	350.9%
უკრაინა	144,901	168,915	16.6%
აზერბაიჯანი	82,718	152,969	84.9%
ბელარუსი	53,698	130,046	142.2%
ყაზახეთი	66,787	120,494	80.4%
უზბეკეთი	36,384	47,953	31.8%
პოლონეთი	30,988	41,917	35.3%
ლატვია	7,961	16,496	107.2%
ლიტვა	9,376	15,467	65.0%
ყირგიზეთი	6,192	14,218	129.6%
ესტონეთი	4,353	9,263	112.8%
ჩეხეთი	5,316	8,681	63.3%
მოლდოვა	2,443	8,096	231.4%
ბულგარეთი	3,638	7,223	98.5%
სხვა	13,063	21,873	67.4%
ჩრდილოეთ ევროპა	**13,992**	**36,998**	**164.4%**
გაერთიანებული სამეფო	7,936	21,407	169.7%
შვედეთი	1,947	4,345	123.2%
დანია	1,158	3,103	168.0%
ირლანდია	1,237	2,995	142.1%
ნორვეგია	843	2,714	221.9%
ფინეთი	793	2,154	171.6%
სხვა	78	280	259.0%
სამხრეთ ევროპა	**17,838**	**40,794**	**128.7%**
საბერძნეთი	5,317	14,890	180.0%
იტალია	3,803	9,269	143.7%
ესპანეთი	4,041	7,704	90.6%
პორტუგალია	1,152	2,257	95.9%
სერბეთი	1,151	2,149	86.7%
სლოვენია	874	1,695	93.9%
სხვა	1,500	2,830	88.7%

emotions are Georgia

დასავლეთ ევროპა	**43,175**	**94,178**	**118.1%**
გერმანია	21,194	48,548	129.1%
საფრანგეთი	10,646	18,060	69.6%
ნიდერლანდები	4,250	11,379	167.7%
ბელგია	2,602	5,847	124.7%
ავსტრია	2,126	5,376	152.9%
შვეიცარია	2,146	4,662	117.2%
სხვა	211	306	45.0%
აღმოსავლეთ/ხმელთაშუა ევროპა	**427,699**	**1,137,367**	**165.9%**
თურქეთი	326,494	925,561	183.5%
ისრაელი	100,686	210,178	108.7%
სხვა	519	1,628	213.7%
კარიბი	**378**	**704**	**86.2%**
ცენტრალური ამერ.	**105**	**245**	**133.3%**
ჩრდილოეთ ამერ.	**22,227**	**40,919**	**84.1%**
ამერიკის შეერთებული შტატები	19,470	35,319	81.4%
კანადა	2,404	5,000	108.0%
სხვა	353	600	70.0%
სამხრეთ ამერ.	**1,532**	**3,518**	**129.6%**
ჩრდილო-აღმოსავლეთ აზია	**5,088**	**15,187**	**198.5%**
ჩინეთი	3,468	7,380	112.8%
კორეის რესპუბლიკა	908	5,112	463.0%
იაპონია	547	1,911	249.4%
სხვა	165	784	375.2%
ოკეანეთი	**1,331**	**4,606**	**246.1%**
სამხრეთ აზია	**51,661**	**170,174**	**229.4%**
ირანი	18,549	102,877	454.6%
ინდოეთი	24,992	52,841	111.4%
სხვა	8,120	14,456	78.0%
სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია	**15,400**	**45,745**	**197.0%**
ფილიპინები	13,597	22,267	63.8%
სხვა	1,803	23,478	1202.2%
ახლო/შუა აღმოსავლეთი	**114,471**	**208,341**	**82.0%**
საუდის არაბეთი	63,437	119,921	89.0%
იორდანია	8,080	22,239	175.2%
ქუვეითი	12,600	17,187	36.4%
არაბთა გაერთიანებული საემიროები	6,976	13,146	88.4%
სხვა	23,378	35,848	53.3%
აღმოსავლეთ აფრიკა	**1,143**	**2,154**	**88.5%**
დასავლეთ აფრიკა	**1,204**	**1,471**	**22.2%**
სამხრეთ აფრიკა	**1,720**	**2,436**	**41.6%**
ჩრდილოეთ აფრიკა	**2,909**	**5,020**	**72.6%**
ცენტრალური აფრიკა	**87**	**206**	**136.8%**
სხვა ქვეყნები	**153,787**	**300,421**	**95.3%**

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საინფორმაციო–ანალიტიკური დეპარტამენტი

მადლობას ვუხდით თანამშრომლობისთვის

ШИНАГАН САЖМЕТА
САМИНИСТРО

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო,
საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი

GEOSTAT
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

GCAA
GEORGIAN CIVIL AVIATION AGENCY

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

სსიპ დაცული
ტერიტორიების
სააგენტო

ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების
სამინისტრო


emotions are
Georgia